# თავისუფალი სივრცე



## საქმიანობის შესახებ

სოციალური კაფე 2017 წლიდან ფუნქციონირებს ბათუმის ცენტრალურ უბანში. “თავისუფალი სივრცის” სოციალური მისიაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება პროფესიული უნარების განვითარებითა და კაფეში დასაქმების გზით, ასევე მიზნობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა გამოწვევების ადვოკატირებით. სივრცე მასპინძლობს საგანმანათლებლო და სხვადასხვა საჭირო საკითხის გარშემო ცნობიერების ამაღლებაზე მიმართულ აქტივობებს. ამავდროულად, წარმოადგენს ადგილს დასვენებისა და გართობისთვის, რასაც თანამედროვე დიზაინი, საინტერესო სამაგიდო თამაშები თუ ცოცხალი მუსიკა ქმნის.

## მომსახურება

„თავისუფალი სივრცე" მომხმარებელს სთავაზობს:

- **კაფეში ადგილზე მომსახურების და მიტანის სერვისი**
- **სივრცის დათმობა შეხვედრებისა და ტრენინგებისთვის**
- **საჯარო შეხვედრების დროს სურდო თარჯიმნის მომსახურება**

კაფე თავისი ფუნქციონირებით ხელს უწყობს ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისებას, კერძოდ, იმ მომხმარებლებს, რომლებიც კაფემდე ველო ტრანსპორტით მიდიან 10%-იან ფასდაკლებას სთავაზობს.

## სოციალური შედეგები

- კაფეში დასაქმებულია 2 შეზღუდულ შესაძლებლობის მქონე პირი
- დაფუძნებიდან დღემდეკაფეში გაიმართა 510 ინკლუზიური, სოციალური, კულტურული ღონისძება
- ფუნქციონირებს ჟესტური ენის ალტერნატიული სკოლა, სადაც დაინტერესებული პირები სწავლობენ ჟესტურ ენას. დაფუძნებიდან დღემდე აღნიშნული კურსი გაიარა 150-მდე ადამიანმა
- სოციალური კაფე "თავისუფალი სივრცე" მხარს უჭერს და კონსულტაციებს უწევს შშმ პირებს პროექტების წერისა და ადვოკატირების კამპანიის დაგეგმვა/განხორციელების კუთხით

+995 555 121 091

batumifreespace@gmail.com

https://www.facebook.com/FreeSpaceBatumi

გამსახურდიას #6 ბათუმი, საქართველო